# საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

№ 11/03/01   2011 წლის 11 მარტი   ქ. თბილისი

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოში 2006-2010 წლების განმავლობაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და ეფექტიანად ამოქმედების შედეგად საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა თვისობრივად ახალ, წარმატებულ ეტაპზე გადავიდა. ამ მრავალმხრივ პროცესში აშკარად გამოიკვეთა საქართველოს სახელმწიფოს ლიდერობა და მისი ნება, სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული, დისციპლინათშორისი და ინტერსექტორული მიდგომით შეექმნა მდგრადი და მუდამ განვითარებადი სისტემა. მდგრადი შედეგების მიღწევა შესაძლებელი გახდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2006 წელს მიღებული საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, ამავე კანონით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და საქართველოს სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ 2006-2010 წლებში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების შედეგად.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული მდგრადი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება შესაძლებელი გახდა საქართველოში შესაბამისი კვლევის, კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლების ინსტიტუციონალიზების, ეროვნული რეფერალური მექანიზმის შექმნისა და წლების განმავლობაში დახვეწის, ეფექტიანი გამოძიების დანერგვის, საერთაშორისო თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად კომპლექსური ღონისძიებებისა და შესაბამისი ეფექტიანი ტექნიკური ზომების განხორციელებით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციის, მის მსხვერპლთა დაცვისა და ამ დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი ეფექტიანი დევნის მიზნით საქართველოს სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით განაგრძობს იმ საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის საჭიროებისამებრ მუდმივ დახვეწას, რომელიც საქართველოში ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა. ეს კი ზოგადად მიგრაციისა და დასაქმების, ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესების საერთო კონტექსტში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მაქსიმალურად ეფექტიანი

ბრძოლის განხორციელების შესაძლებლობას საქართველოში კიდევ უფრო განამტკიცებს.

2006-2010 წლების მიღწევების შემდგომი განმტკიცებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ახლებური გამოვლინების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის გაგრძელების მიზნით დამტკიცდეს თანდართული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2011 წლის 11 მარტის
N 11/03/01 განკარგულებით

# ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა

| მიზანი | მოსალოდნელი შედეგი | საქმიანობა | პასუხისმგებელი უწყება | ინდიკატორები | ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია | 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობა. | 1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა, მათ შორის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დასახმარებლად შექმნილი მომსახურების თაობაზე | 1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელე-ბელი საუწყებათაშორისო | 1.1. კამპანიების რაოდენობა, კამპანიების დაფარვის არეალი. | 1.1. გეგმის მოქმედების განმავლო-ბაში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობების ენებზე ვიდეო რგოლების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების მეშვეობით, მათ შორის, საქართველოს ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით; | საკოორდინაციო საბჭო (შემდეგში - საკოორდინაციო საბჭო); საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდეგში - ფონდი), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | | |
| | | 1.2. ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის მომზადება და გავრცელება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საქართველოში მოქმედ ტურისტულ და დასაქმების | 1.2. მომზადება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს | 1.2. ბეჭდვითი მასალის სახეობა (მათ შორის, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისა-თვის). | 1.2. 2011 წლის II ნახევარი, 2012 წლის I ნახევარი. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სააგენტოებში, საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებსა და პოტენციური რისკის მქონე სხვა ადგილებში; | შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | | |
| | | | 1.2.1. გავრცელება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, | 1.2.1. გავრცელე-ბის არეალი. | 1.2.1. 2012 წლის II ნახევარი. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ფონდი<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | | |
| | | 1.3. უმაღლეს საგანმანათ-ლებლო დაწესებულებებში საჯარო დისკუსიების გამართვა ტრეფიკინგის თემაზე; | 1.3. საკოორდინაციო საბჭო, ფონდი<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | 1.3. გამართული საჯარო დისკუსიების რაოდენობა. | 1.3. გეგმის მოქმედების განმავლო-ბაში. |
| | | 1.4. სხვა სახელმწიფოებში ლეგალური ყოფნისა და ლეგალური დასაქმების | 1.4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, | 1.4. სერვისით მოსარგებლე რეგისტრირე- | 1.4. 2011 წლის II ნახევარი, |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მექანიზმების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულ-ტაციო ცენტრების მეშვეობით; | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | ზულ პირთა რაოდენობა. | 2012 წლის განმავლობაში. |
| | 2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის თავიდან | 2.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ეროვნული სასწავლო | 2.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. | 2.1. ზოგადსა-განმანათლე-ბლო დაწესებუ-ლებების | 2.1. 2011 წლის II ნახევარი, 2012 წლის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აცილების მექანიზმების გაცნობა არასრულწლოვანთა-თვის. | გეგმით გათვალისწინებული საკითხების სწავლება;<br><br>2.2. საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებსა და თავშესაფრებში. | 2.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით). | (სკოლების) რაოდენობა.<br><br>2.2. გატარე-ბული ღონისძიებები. | განმავლობა ში.<br><br>2.2. 2011 წლის II ნახევარი, 2012 წლის განმავლო-ბაში. |
| 2. ადამიანით | 3. ადამიანით | 3. ადამიანით ვაჭრობის | 3. საქართველოს | 3. ჩატარებული | 3. გეგმის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა** | ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) ეფექტიანი საქმიანობა. | (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი მათი სრულყოფის მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა. | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფონდი<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | მონიტორინგი და მიღებული შედეგები. | მოქმედების განმავლო-ბაში. |
| | 4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარა-ლებულთა სამშობლოში დაბრუნება ნებაყოფლობით, | 4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქართველოს მოქალაქე/საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე მსხვერპლთა/დაზარალებულ-თა სამშობლოში უსაფრთხო | 4.1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს | 4.1. დაბრუნე-ბულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა. | 4. გეგმის მოქმედების განმავლო-ბაში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უსაფრთხოდ და დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა. | დაბრუნების ხელშეწყობა; | იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | | |
| | | 4.2. უცხო ქვეყნის მოქალაქე/ მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულ- | 4.2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფონდი, საქართველოს | 4.2 დაბრუნე-ბულ უცხო ქვეყნის მოქალაქე/ მოქალაქეობის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | თა საქართველოდან წარმოშობის სახელმწიფოში დაბრუნების და, შესაძლებლობის ფარგლებში, დანიშნულების სახელმწიფოში დახმარების უზრუნველმყოფელი ინსტიტუტებისათვის რეფერირების ხელშეწყობა;<br><br>4.3. მსხვერპლთა/დაზარალე-ბულთა დახმარებისა და რეინტეგრაციის პროგრამების განახლება და შემდგომი დახვეწა საჭიროებების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით. | ფინანსთა სამინისტრო<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).<br><br>4.3. ფონდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/ დაზარალებულ-თა რაოდენობა<br><br>4.3. განახლე-ბული პროგრამები. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამ-ართლებრივი დევნა** | 5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უახლესი მეთოდოლოგიები დანერგილია. | 5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სპეციალური ტრენინგებისა და, შესაძლებლობის ფარგლებში, სასწავლო ვიზიტების ორგანიზება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უახლესი მეთოდების გასაცნობად შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის:<br><br>ა) ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაკები;<br>ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები; | 5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების | 5. ტრენინგების შედეგად გაზრდილი პროფესიული ცოდნა, ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა. | 5. გეგმის მოქმედების განმავლო-ბაში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გ) საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები;<br>დ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლები;<br>ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები;<br>ვ) საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლები;<br>ზ) მოსამართლეები. | სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა<br><br>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | | |
| | 6. ადამიანით ვაჭრობის | 6.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების, | 6.1. საქართველოს შინაგან საქმეთა | 6.1. ანალიზის დოკუმენტი. | 6. გეგმის მოქმედების |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | (ტრეფიკინგის) საქმეთა გამოძიების დახვეწა დანაშაულის თანამედროვე ტენდენციების საპასუხოდ. | მათ შორის, მსხვერპლთა/დაზარალებულ-თა მონაცემების განზოგადებული ანალიზი, კონფიდენციალურობის დაცვით მათი წარმოშობის ადგილის, მსხვერპლად გახდომის მიზეზების აქცენტირებით, გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ჩათვლით;<br><br>6.2. სისხლის სამართლის პროცესში სხვა სახელმწიფოთა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა. | სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა.<br><br>6.2. საქართველოს პროკურატურა. | 6.2. თანამშრომ-ლობის სახეობა, გაგზავნილი შუამდგომლო-ბების რაოდენობა | განმავლო-ბაში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **4. თანამშრომ-ლობა** | 7. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა. | 7.1. სამთავრობო სტრუქტურების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ კვარტალური ანგარიშების მომზადება და საკოორდინაციო საბჭოსათვის წარდგენა; | 7.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, | 7.1.მომზადებუ ლი ანგარიშები. | 7. კვარტა-ლურად გეგმის მოქმედების განმავლო-ბაში. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ფონდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. | | |
| | | 7.2. საკოორდინაციო საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი, შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება; | 7.2. საკოორდინაციო საბჭო. | 7.2. შემუშავე-ბული რეკომენდაცი-ები. | |
| | | 7.3. ეროვნული რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული | 7.3. ფონდი, საკოორდინაციო საბჭო | 7.3. რეფერირე-ბული მსხვერპლების/ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | თანამშრომლობის კოორდინაცია და სრულყოფა. | (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). | დაზარალებუ-ლების რაოდენობა. | |
| | 8. კოორდინირებული საქმიანობა. | 8. შესაბამისი უწყებების სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. | 8. საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, ფონდი. | 8. განხორციე-ლებული ღონისძიებების რაოდენობა. | 8. გეგმის მოქმედების განმავლო-ბაში. |
| | 9. შემდგომი | 9.1. სპეციალური ანალიზის | 9. საკოორდინაციო | 9.1. ჩატარე- | 9.1. 2012 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სამოქმედო გეგმის მომზადებული პროექტი. | ჩატარების კოორდინირება შემდგომი საჭიროებების გამოკვეთისა და სტრატეგიის დაგეგმვის მიზნით;<br><br>9.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი სამოქმედო გეგმის მომზადების კოორდინირება. | საბჭო. | ბული ანალიზი.<br><br>9.2. შემდგომი სამოქმედო გეგმის პროექტი. | წლის I ნახევარი.<br><br>9.2. 2012 წლის IV კვარტალი. |